F667 ∾3432
2

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბავშვო სკა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 11 (195)

ივნისი,

1968 წელი



თბილისელი ჰაჭარები.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის ახალი კერა

შენდება, შენდება...

მშენებლობანი, მშენებლობანი... არ შეიძლება არ შენიშნო ისინი, როცა ვაჟა ფშაველას პროსპექტზე მიდიხარ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აქ რესპუბლიკური **ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს** სამშენებლო კომპლექსი, რომელიც რვა ჰექტარ ტერიტორიაზე გადაჭიმულა. იგი შენდება საქართველოს მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მეხუთე სახელოსნოს და მოსკოვის ტიპობრივი ექსპერიმენტული დაპროექტების ინსტიტუტის პროექტით.

მთავარი კორპუსის 14 სართულის რკინაბეტონის კარკასი უკვე მზად არის. იგი ააგეს „თბილმრეწვმშენის“ ტრესტის № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშაკებმა. სანიმუშოდ ასრულებს პასუხსაგებ დავალებებს დურგალ-მემონტაჟეთა ბრიგადა ი. ბესტავაშვილის ხელმძღვანელობით. კ. ნათელაშვილი, ზ. ნაცვლიშვილი, ე. გორგიშვილი, ე. კაპანაძე და მათი ამხანაგები თვეში აწყობენ 500-600 კუბურ მეტრ ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებს.

მიმდინარეობს საავადმყოფოს დამხმარე შენობათა მშენებლობაც. წელს, მაგალითად, დაიწყო სააუდიტორიო კორპუსის აგება.

სააუდიტორიო კორპუსი პროექტით შედგება სამი სალექციო დარბაზისაგან, რომლებიც დაიტევენ 900-მდე კაცს. აქ გაიმართება ლექციები, სიმპოზიუმები, კონფერენციები მედიცინის სხვადასხვა საკითხზე.

მთავრდება მოსაპირკეთებელი სამუშაოები **პოლიკლინიკის ახალ შენობაში**. ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა მილსადენების გაყვანა, რომლითაც პალატებში მიაწვდიან საჭირო ტემპერატურის ჰაერს. ორი მძლავრი კონდიციონერი და 600 სპეციალიზებული დანადგარი საავადმყოფოს შენობებში შექმნიან სათანადო მიკროკლიმატს.

ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო გათვალისწინებულია 1.100 ადგილისათვის და აღიჭურვება უკელაზე თანამედროვე მოწყობილობით.

ურთიერთობა საზღვარგარეთთან

წლითიწლობით ფართოვდება თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერული ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერებთან. განსაკუთრებით ინტენსიურად ხდება მასწავლებლებისა და სტუდენტების გაცვლა თბილისსა და იენის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) უნივერსიტეტებს შორის, რომლებმაც დადეს კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ექვს თვეს წაიკითხავს ლექციებს თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე იენის უნივერსიტეტთან არსებული ფ. შილერის სახელობის გერმანისტიკის ინსტიტუტის დოცენტი პ. ზუკელანდი. გერმანელი მეცნიერის ლექციები მიეძღვნება გერმანულ ენას, მის სტილისტიკას, ლექსიკას, აგრეთვე ისტორიას. თბილისის სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრაზე სწავლობს ასპირანტი ფ. ჰაიცი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

სხვადასხვა დროს თბილისის უნივერსიტეტში იყო იენის უნივერსიტეტის ბევრი მეცნიერი, სტუდენტთა დიდი ჯგუფი.

თავის მხრივ იენის უნივერსიტეტის სტუმრები იყვნენ თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორი დოცენტი **ნ. ლომოური**, პროფესორი **ა. ურუშაძე**, დასავლეთევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი დოცენტი **ზ. ჭარხალაშვილი**, ატომგულის ფიზიკის ლაბორატორიის გამგე დოცენტი **ი. ვაშაკიძე** და სხვები. ქართველი სტუდენტები მონაწილეობდნენ იენის უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაში.

ამას წინათ საქართველოში იყვნენ ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორი დ. კალოგაი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ტ. კეინი. სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ჟ. სიუდრე ფრანგულ ენას ასწავლის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. ფრანგი პ. ჟერარი თბილისის უნივერსიტეტის სტაჟიორია. აქ სწავლობს ოთხი უნგრელი სტუდენტიც.

მალე სტრასბურგში გაემგზავრება ქართველ მეცნიერთა ჯგუფი. ისინი ლექციებს წაიკითხავენ ქართულ ენაში სტრასბურგის უნივერსიტეტის სლავური და საბჭოთა გამოკვლევების ინსტიტუტში. ეს მოგზაურობა ეწყობა ინსტიტუტის დირექციის თხოვნით საფრანგეთში ქართული ენისა და ლიტერატურისადმი დიდი ინტერესის გამო.

მშვენიერების აღზრდა

საქმე ეხება რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის ყველაზე ახალგაზრდა ფაკულტეტს — ხელოვნების ფაკულტეტს, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოყალიბდა სამი წლის წინათ.

— დიდია ახალგაზრდობის ლტოლვა ხელოვნების შესწავლისადმი, — თქვა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში ამ ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ბ. ხარატიშვილმა. — სახვითი ხელოვნების, მუსიკის, კინოხელოვნებისა და კინოკრიტიკის განყოფილებებზე სწავლობენ სტუდენტები უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების ყველა ფაკულტეტიდან. სახვითი ხელოვნების განყოფილებას ხელმძღვანელობს დოცენტი ო. ფირალიშვილი, მუსიკის განყოფილებას — დოცენტი თ. ჩოჩუა, კინოხელოვნებისა და ტელევიზიის განყოფილებას — დოცენტი ნ. ლეონიძე.


ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოში, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შ. ამირანაშვილი, შედიან საქართველოს სახალხო მხატვარი ლ. გუდიაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. თორაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ეგაძე და სხვები. ფაკულტეტზე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან მუსიკისმცოდნეები ო. ჩიჯავაძე, გ. ტორაძე, რეჟისორი ჯ. პიპინაშვილი, ფერწერები ე. ბაღდავაძე, ე. შერპილოვი, გრაფიკოსი ვ. კონსტანტინოვი და ქართული ხელოვნების სხვა მოღვაწეები. სასწავლო - აღმზრდელობით მუშაობას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი დოცენტი ა. ჩხარტიშვილი.

პირველი, რაც ვნახეთ, იყო სახვითი ხელოვნების განყოფილება.

საყურადღებოა კინოხელოვნების მოყვარული ბევრი სტუდენტის ნამუშევრები.

ამ დღეებში მუსიკის განყოფილებამ საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გაიტანა თავისი მუშაობა.

ახლა ფაკულტეტი აქტიურად ემზადება უნივერსიტეტის იუბილესათვის. დასახულია გამსვლელი სესიები პედაგოგთა და სტუდენტთა მონაწილეობით, კონცერტები, შეხვედრები სამრეწველო საწარმოებში. გამოიცემა ფაკულტეტის პედაგოგთა მეცნიერული შრომების კრებული ესთეტიკის თანამედროვე პრობლემებზე.



სურათზე: უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი.

ბედმა სად არ მაგზავნა

ყური მომაპყარ, ქართველო!

არ ვიცი, რატომ უწოდეს იმ ადგილს ბუენოს აირესი, (ქართულად კეთილ ჰავას ნიშნავს) რადგან იქ, სადაც ახლა უშველებელი ქალაქია, ჰავა ძალიან ნესტიანია და ზაფხულობით სულის შემხუთავი სიცხეები იცის.

მცხოვრებთათვის სასმელი წყალი მდინარე რიო დე პლატადან ამოაქვთ. იმ დროს, როცა ინგლისელებმა იქ ქალაქისათვის წყალსადენი ააშენეს, ირგვლივ არ იყო არც ერთი დასახლებული ადგილი, ახლა კი გაშენდა მრავალი პატარა ქალაქი, რომელთა კანალიზაცია ამ მდინარეს უერთდება. ამჟამად ბუენოს აირესში სამ მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს. წყალსადენი ვერ ასწრებს წყლის გაწმენდას და რძესავით თეთრია აქაური სასმელი წყალი, რადგან ძლიერ ბევრ ქლორს ურევენ, რათა ბაქტერიებისაგან გაიწმინდოს.

მაშინ როცა ჩემი სამშობლო თოვლით არის გადაპენტილი, იქ, ბუენოს აირესში აუტანელი სიცხეებია და წყალის სმით ვერ გაძღები, უგემური წყალი წყურვილს ვერ კლავს, კამეჩივით ეწაფები და სულ გინდა სვა ეს უგემური, წამლის მსგავსი სითხე.

როცა ქალაქის ცენტრში წავიდოდი ხოლმე, სულ მცირე 3-4 ბოთლ კოკა კოლას ვსვამდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მწყურვალი ვიყავი. ხშირად მინატრია: ეჰ, სად არის ჩვენი ნატახტარი?!

ქალაქის ცენტრში ყოფნის დროს უსათუოდ შევდიოდი კინოში, და თუ სურათი გადაღებული იყო ზამთარში და თოვლს აჩვენებდნენ, უსათუოდ ამომხდებოდა: „ნუთუ, ღმერთო, ვერ მოვესწრები, რომ ხელში ავიღო თოვლის გუნდა?

არგენტინაში არის ერთი პროვინცია, რომელსაც კორდობა ჰქვია. ამ პროვინციაში უკანასკნელად 1960 წელს ვიყავი. ყოველთვის იქ ჩასვლის დროს უფრო მეტი სევდა მეუფლებოდა, ვიდრე სიხარული, რადგან არემარე, სადაც ოჯახით ვისვენებდი, ძლიერ ჰგავდა სოფელ კავთისხევს და ეს მსგავსება გულს მითუთქავდა.

1963 წელს თებერვალში ვიყავი ქალაქ მენდოზაში. ეს პროვინცია თითქოს ჩვენი კახეთიაო, ისე ბევრია ვენახები და ბუნებაც ძლიერ ჰგავს კახეთისას. ბევრჯერ ჩავფიქრებულვარ ჩემს წარსულზე და მითქვამს: ოჰ, ღმერთო, განა რა ცოდვა მაქვს ისეთი, რომ უსამშობლოდ უგზო-უკვლოდ დავეხეტები?

ომის დამთავრებამ ჰოსპიტალში მომისწრო, ვიწექი ქალაქ მონტევიდეოში. მანამდე ქალაქ ნიცას ახლოს ფრანგების უცხოეთის ლეგიონში ვმსახურობდი. ფრანგებს სურდათ ბ. ამილახვრის ყოფილ ნახევარბრიგადაში დავრჩენილიყავი და ოფიცრობა შემომთავაზეს, მაგრამ ვიუარე, რადგან გული შინისაკენ მომიწევდა.

ერთ დღეს ეკასთან გამოსამშვიდობებლად მოვედი. მაშინ ბ. ამილახვარის გოგონა 10 წლისა იყო. მას საალერსოდ თამრუხანას ეძახდნენ. როცა გაიგო, რომ სამშობლოში დაბრუნება მინდოდა, კისერზე მომეხვია და ტირილი დაიწყო: ნუ წახვალ, წაიკითხე გაზეთები... ყველას ვინც გერმანელებს ტყვედ ჩაბარდა, აპატიმრებენ და ციმბირში ასახლებენო. მე ფრანგული, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, მაგრამ სხვებისაგან მართლაც დაუჯერებელი ამბები მესმოდა. ახლა, როცა თამრიკომ, ამ 10 წლის გოგონამაც მითხრა და გაზეთი მაჩვენა, ჩავფიქრდი და გადავწყვიტე თავი უცხოეთისათვის შემეფარებინა. დავრჩი პარიზში. ეს ქალაქი ძლიერ ლამაზია, მაგრამ თუ მშიერი დაეთრევი, სილამაზისათვის არ გაცალია კაცს.

ეკას მეთერთმეტე სართულზე პატარა ოთახი ჰქონდა. ორჯერ მშიერმა ფანჯრიდან გადმოვარდნა ვცადე. ვიყურები ქუჩაში და ვფიქრობ: ვაი თუ არ მოვკვდე, მაშინ? რაღა მეშველება, ფეხი ან ხელი რომ მოვიტეხო, ინვალიდს ხომ უფრო გამიჭირდება ცხოვრება, ვიდრე ჯანმრთელს? ალბათ ასეთმა ფიქრებმა თუ გადამარჩინა.

1946 წლის 1 აპრილს მიმიღეს მექანიკურ სკოლაში და ხელობა ვისწავლე, რითაც თავს კირჩენდი სამშობლოში დაბრუნებამდე.

ივლისში ბუენოს აირესში ღმერთმა მოავლინა ჩემი და ჩემი ობოლი ოჯახის საბედნიეროდ ილიკო და ნინო სუხიშვილების დასი. მათთან საუბრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ სამშობლოში დაბრუნებით ხიფათი არ მელოდა, მაგრამ მაინც თავს ვიკავებდი. მთელი ერთი კვირა წერილს ვწერდი. ბევრი ღამე გავათენე წერილის წერაში. მისი შინაარსი მე თვითონ არ მესმოდა, რადგან უფრო მეტ ესპანურ სიტყვებს ვწერდი, ვიდრე ქართულს და შინ აბა რას გაიგებდნენ? სუხიშვილის გუნდის ყველა ქალიშვილს ვკითხე თუ იცნობდნენ ნუნუ ჯავახიშვილს. მე უბედურს არც მიფიქრია ბიჭებისათვის მეკითხა. (ერთი მეზობელიც კი ყოფილა, რომელთანაც ბევრი საუბარი მჭონდა და მას შეეძლო ყველაფერი ეთქვა ჩემს ოჯახზე). კონცერტის უკანასკნელ ღამეს ბიჭებმა მკითხეს:

— რა ქენით, ძია შოთა, დაწერეთ წერილი?

— რა ვქნა, ბიჭებო, გავბედავ, მხოლოდ მათი ცოდვა თქვენს კისერზე იყოს, თუ ამ წერილით რაიმე უსიამოვნება შეხვდათ, — ამ სიტყვებით გავედი თეატრის კანცელარიაში, ავიღე ქალალდი, რომელზეც ერთ მხარეს რაღაც იყო დაბეჭდილი, მეორე მხარე კი თეთრი ჰქონდა და დავწერე რამდენიმე სიტყვა: ცოცხალი ვარ, ხელფეხი არსად დამიკარგავს... მეტი აღარ მახსოვს, რა დავჯღაბნე.

16 ოქტომბერს ორი წერილი მივიღე. კინალამ ინფარქტი დამემართა, ისე ავღელდი. ფოსტიდან სახლამდე დაუფარავად გამუდმებით ვტიროდი. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ სახიფათო იყო, მოტოციკლით ვიყავი და ვერაფერს ვეღარ ვხედავდი, ისე დავველდა ცრემლებით შავი სათვალე.

1966 წლის 18 თებერვალს თბილისში ჩამოვედი. თოვლი მხოლოდ უკრაინაში ვნახე და მეგონა თბილისშიც დამხვდებოდა. მაგრამ თბილისში გაზაფხული იდგა, შესანიშნავი ამინდი იყო.

სამი თვე კამოს სახელობის ქარხანაში ვიმუშავე ჩემს ხელობაზე, შემდეგ გადამიყვანეს „ინტურისტში“. მალე ორი წელი შემისრულდება, რაც „ინტურისტის“ სამმართველოში ვმუშაობ,

(დასასრული მე-7 გვერდზე).

თბილისის საერთაშორისო

თბილისში მუშაობა დაამთავრა ფიზიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმმა, რომელიც განიხილავდა თავის ტვინის სისხლის მომარაგების, ნივთიერებათა ცვლისა და თავის ტვინის ფუნქციის ურთიერთკავშირის აქტუალურ პრობლემებს. აღსანიშნავია, რომ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის პრობლემასთან დაკავშირებული ასეთი სიმპოზიუმი თბილისში მეორედ მოეწყო. პირველი, რომელიც 1963 წელს შედგა, საკავშირო მნიშვნელობის იყო და მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი ფიზიოლოგები, ბიოლოგები. წლევანდელი საერთაშორისო სიმპოზიუმი კი პირველია მსოფლიოში.

შემთხვევითი არ არის, რომ სიმპოზიუმი ორჯერ გაიმართა თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე.

სისხლის მიმოქცევა ერთ-ერთი ახალი დარგია თავის ტვინის კვლევის საქმეში ჩვენს ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. თუ უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედების კვლევა და ცხოველთა ქცევები, ტვინის ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევა, ცენტრალური ნერვული სისტემის სტრუქტურისა და ბიოქიმიის კვლევა ამ ინსტიტუტში წარმოებს დიდიდან მისი დაარსებისა, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის გამოკვლევა მიმდინარეობს მხოლოდ უკანასკნელი ათი წელია. მიუხედავად ასეთი მცირე დროისა, ამ დარგში მიღწეული წარმატებები მეტად საგულისხმოა. ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ გ. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით დაადგინა ტვინის სისხლის მიმოქცევის მთელი რიგი ფიზიოლოგიური კანონზომიერებანი, შეიმუშავა მთელი რიგი ახალი მეთოდები თავის ტვინის სისხლძარღვთა მოქმედების კანონზომიერების კვლევაში და სხვ.

ქართველ მეცნიერთა შრომები თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის პრობლემებზე ცნობილი გახდა საზღვარგარეთაც. გასულ წელს პროფესორი გ. მჭედლიშვილი მოწვეული იყო ლექციების წასაკითხავად დასავლეთ გერმანიის სამ დიდ უნივერსიტეტში.

ასე რომ, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის პრობლემებზე საერთაშორისო სიმპოზიუმის მოწყობა თბილისში სრულიად ბუნებრივი იყო.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა სიმპოზიუმის ერთ-ერთ ორგანიზატორს პროფესორ გ. მჭედლიშვილს და მიმართა მას რამდენიმე კითხვით.

— რა საკითხებს განიხილავდა სიმპოზიუმი და რომელი ქვეყნის მეცნიერები იღებდნენ მონაწილეობას მის მუშაობაში?

— სიმპოზიუმი მიეძღვნა სისხლის მომარაგების, ნივთიერებათა ცვლისა და თავის ტვინის აქტუალურ პრობლემებს. ეს საკითხები მნიშვნელოვანია არა მარტო თეორიული თვალსაზრისით, არამედ სამედიცინო პრაქტიკისთვისაც. ამიტომ იყო, რომ ამ სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს სამედიცინო დარგის მუშაკებმაც.

სიმპოზიუმზე ძირითადად მსჯელობა მიმდინარეობდა სამი პრობლემის გარშემო — რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან სისხლის მიმოქცევა, ნივთიერებათა ცვლა და ტვინის საქმიანობა; რა განაპირობებს ამ ურთიერთდამოკიდებულებას სისხლის მიმოქცევაში ერთი მხრივ და ნივთიერებათა ცვლასა და ფუნქციაში მეორე მხრივ; რა ფიზიოლოგიური მექანიზმები განსაზღვრავს ამ ურთიერთკავშირს.

ეს საკითხები მეტად აქტუალურია დღეისათვის და ამიტომაც სიმპოზიუმში მონაწილეობისათვის თბილისში ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის, ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ამ დარგის გამოჩენილი სპეციალისტები. ესენი არიან აკადემიკოსი ჯ. პარინი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ჰ. ლოსოვსკი, რომელიც ითვლება ტვინის სისხლის მიმოქცევის შესწავლის საქმის პიონერად ჩვენს ქვეყანაში. სიმპოზიუმზე ჩამოვიდნენ აგრეთვე აკადემიკოსი ჯ. ჩერნიგოვსკი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. მარშაკი. ქართველი მეცნიერებიდან სიმპოზიუმში აქტიური მონაწილეობა მიიღო აკადემიკოსმა ი. ბერიტაშვილმა (იგი თავმჯდომარეობდა პირველ სხდომას და ითვლებოდა სიმპოზიუმის საპატიო მონაწილედ). მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პ. ქომეთიანი, პროფესორები ი. გედევანიშვილი და მე.

საზღვარგარეთელი სტუმრებიდან აღსანიშნავია ცნობილი ინგლისელი ბიოლოგი პროფესორი პ. ბარკროფტი, ბოსტონის ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი სემურ კეტი, ჯონ მეიერი — დეტროიტის უეინის უნივერსიტეტის პროფესორი, პროფესორი დავიდ ინგვარი (შვეიციდან) და ნიოს ლასენი (დანიიდან), რომელთა გამოკვლევები კარგად არის ცნობილი მსოფლიოში, პროფესორი არისტიდ კოვაჩი (უნგრეთიდან), აგრეთვე მთელი რიგი ცნობილი მეცნიერები ევროპისა და ამერიკის ქვეყნებიდან. სულ სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 30 მეცნიერი.

სიმპოზიუმზე ფართოდ იყო წარმოდგენილი კინომასალა. აქვე სსრ კავშირისა და საქართველოს სავაჭრო პალატამ მოაწყო უცხოეთის ფირმების სპეციალიზებულ ხელსაწყოთა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო თანამედროვე საკვლევი აპარატურა სისხლის მომარაგების, ნივთიერებათა ცვლის, თავის ტვინის ფუნქციის რეგისტრაციისათვის.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ეს გამოფენა და თავიანთი შეფასება მისცეს ამა თუ იმ აპარატურას.

ფიზიოლოგთა საკავშირო სიმპოზიუმი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს მეცნიერთა ცხოვრებაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თბილისი



ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲝᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲣᲤᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲓᲘᲚᲐᲡ“ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ 40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ. ᲩᲕᲔᲜ „ᲓᲘᲚᲐ“ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲛᲝᲕᲘᲬᲕᲘᲔᲗ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲮᲛᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ: ᲔᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ, ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲭᲔᲑᲘ, ᲖᲚᲐᲞᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲔᲒᲜᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲘᲚᲐᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲜᲝᲛᲠᲘᲓᲐᲜ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲭᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲑᲔᲑᲘᲐᲡ

მუდამ, ჩემო სანატრელო,
საყვარელო ბები!
დაგკოცნი და დამიკოცნე
ყველა ნაცნობები.

ბები, ჩემო ტკბილო ბები,
აგრემც გენაცვლები,
მე ცალკე გამომიგზავნე
თეთრი ჩურჩხელები.

სხვა ხილიც არ დაივიწყო:
კომში, ვაშლი, მსხლები,
ჩამიჩი და ლეღვისჩირი,
თხილი და კაკლები.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲣᲚᲘᲙᲝ

ᲙᲐᲤᲐᲤᲘᲜᲐ ᲒᲣᲚᲘᲙᲝ,
ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲛᲘᲛᲭᲐᲠᲘᲓᲐ...
ᲑᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ.
ᲓᲦᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲘᲮᲘᲠᲐᲕᲡ
ᲠᲕᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲒᲜᲔᲑᲘ...
ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲘ, ᲒᲣᲚᲘᲙᲝ,
ᲙᲐᲠᲒᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘ!

ᲘᲚᲘᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

ᲪᲘᲪᲘᲜᲐ

ᲪᲘᲪᲘᲜᲐ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲐ,
ᲛᲐᲒᲐᲛ ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲧᲘᲓᲘᲡ.
ᲛᲔᲪᲘ ᲛᲐᲡ ᲛᲘᲧᲘᲓᲘᲡ,
ᲛᲔᲪᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲘᲓᲘᲡ.

ᲛᲔᲠᲔ ᲪᲘᲪᲘᲜᲐ ᲐᲦᲔᲑᲡ,
ᲛᲔᲠᲔ ᲐᲠ ᲐᲦᲔᲑᲡ.
ᲛᲔᲠᲔ ᲛᲐᲡ ᲐᲦᲔᲑᲡ,
ᲛᲔᲠᲔ ᲐᲠ ᲐᲦᲔᲑᲡ.

ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔ

ᲧᲕᲐᲜᲩᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲐᲜᲪᲐᲚᲐ

ᲰᲐᲘ, ᲰᲐᲘ, ᲣᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲝ ᲧᲕᲐᲜᲩᲐᲚᲐᲕ!
ᲩᲔᲛᲡ ᲑᲐᲭᲘᲐᲡ ᲜᲐᲪᲐᲠᲐᲡ ᲓᲐ ᲪᲐᲜᲪᲐᲚᲐᲡ,
ᲗᲐᲕᲖᲔ ᲗᲝᲕᲚᲘ ᲓᲐᲐᲧᲐᲠᲔ ᲣᲠᲪᲮᲕᲐᲓᲐ —
ᲕᲐᲮ, ᲗᲣ ᲡᲣᲠᲓᲝ ᲨᲔᲔᲧᲐᲠᲐ ᲣᲪᲑᲐᲓᲐ!..
ᲒᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗ ᲠᲐᲡ ᲓᲐᲛᲧᲣᲠᲔᲑ ᲢᲝᲢᲘᲓᲐᲜ!
ᲛᲐᲜᲓ ᲓᲐᲤᲠᲔᲜᲐ ᲠᲐᲚᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲝᲒᲘᲜᲓᲐ!
...ᲜᲣᲠᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲩᲔᲛᲘ ᲑᲐᲭᲘᲐ,
ᲜᲣᲠᲪ ᲒᲐᲛᲖᲠᲓᲘᲐ, ᲜᲣᲠᲪ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲐ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲘ,
ᲗᲣ ᲙᲘ ᲨᲔᲜᲔᲑᲠ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲣᲨᲠᲓᲔᲚᲘ!

ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲘᲚᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ

— ᲩᲘᲢᲝ, ᲩᲘᲢᲝ, ᲜᲐᲪᲐᲠᲐᲕ,
ᲕᲘᲡ ᲣᲒᲐᲚᲝᲑ, ᲕᲘᲡᲐ!
— ᲨᲔᲜ ᲒᲘᲒᲐᲚᲝᲑ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲕ,
ᲓᲘᲚᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ!
— ᲛᲖᲔᲝ, ᲛᲖᲔᲝ, ᲪᲮᲠᲐᲗᲕᲐᲚᲐ,
ᲕᲘᲡ ᲣᲪᲘᲜᲘ, ᲕᲘᲡᲐ?
— ᲒᲐᲘᲦᲕᲘᲫᲔ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲕ,
ᲓᲘᲚᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ!

— ᲞᲐᲬᲐᲬᲘᲜᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲝ,
ᲠᲐᲓ ᲒᲐᲨᲐᲚᲔ ᲙᲕᲘᲠᲢᲘ?
— ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲕ,
ᲐᲑᲐ, ᲓᲐᲛᲐᲙᲕᲘᲠᲓᲘ!
— ᲛᲔᲪ ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲐᲕᲓᲒᲔᲑᲘ,
ᲛᲔᲪ ᲓᲐᲕᲘᲑᲐᲛ ᲞᲘᲠᲡᲐ,
ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲘᲕᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘ:
— ᲓᲘᲚᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ.

ᲛᲐᲠᲘᲯᲐᲜᲘ

ᲑᲔᲕᲠᲖᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ

ᲑᲝᲒᲘᲡ ძალიან უყვარს ხილი, ტკბილეული. თუ რამეს მოჰკრა თვალი, აღარ არის მოსვენება.

— ბები, მომე ვაშლი! ბევრი ვაშლი მინდა!

— ბები, მომე თხილი! ბევრი, ბევრი თხილი! ბევრი კანფეტი...

ერთხელ ბებიამ ჩაისვა გოგი კალთაში და დაუწყო ბაასი:

— გოგი, არ მომწონს, მაგისთანა თვალხარბი რომ ხარ. რა


— თავი ერთია!
— ცხვირი — ერთი!
— პირი — ერთი!
— შუბლი — ერთი!

— თვალი ორი!
— ხელი — ორი!
— ფეხი — ორი!

გოგია ჩაფიქრებული უსმენდა.

ბები, შენ დაგავიწყდა, რომ თმა მაქვს ბევრზე ბევრი! — უთხრა გოგიამ.

ბებოს გაეცინა და ბევრი თხილი მისცა.



ᲐᲜᲐ ᲮᲐᲮᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲖᲘᲐᲡ ᲛᲔᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ

ᲛᲔᲖᲘᲐᲡ და ბიძინას დედამ კანფეტები მისცა. მზიამ ისინი წინსაფრის ჯიბეში ჩაიწყო. ბიძინამ თვალი რომ შეასწრო, მზია გარეთ გამოიპატიჟა.

— აი, მზია, შეხედე, ვაშლების ყუთი ნამდვილ მატარებლად რომ გადაგვიკეთებია! — შეიგ მოიკალათა. ბიძინამ მზიას ხასიათი კარგად იცოდა: საწოლზე ან სკამზე გოგონა ოდნავ რომ დაგერწიათ, იმწამსვე თვალებს დახუჭავდა და ჩაეძინებოდა. მამის ჩალის ქუდიც თავზე ჩამოაფხატა, ვითომ სამგზა-

ფრთხილად იყავი. მატარებელი ახლა მალე ხიდზე გავა და ძლიან შეტორტმანდება. კუ-კუ-კუ!.. — დაიყვირა ბიძინამ და ყუთი ღონივრად შეატოკა. მზიას ეამა რწევა, ჯერ გაინაბა, მერე თვალები წელულა და ძი-

დღეს დაგაყრი?! — უცებ მოესმა ბიძინას მეზობლის ხმა და ხელი უკანვე ცივად წაიღო. ეგონა, განზრახვას მიუხვდნენ; ნამდვილად კი მეზობელი ძაღლს უჯავრდებოდა, ბიძინა

სერგო კლდიაშვილი

ᲚᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲔᲑᲘ

ᲘᲒᲐᲕᲘ

ᲚᲝᲛᲘ ორ ხარს თავს დაესხა, მაგრამ ხარები მეგობრულად შეერთდნენ, რქენა დაუწყეს და მოიგერიეს.

მაშინ ლომმა ხერხს მიმართა და ერთ ხარს უთხრა:

— თუ მეგობარს მოშორდები, შენ არაფერს გავნებო.

ხარმა დაუჯერა და მეგობარს მოშორდა. ამით ისარგებლა ლომმა, — ჯერ ერთი ხარი გაგლიჯა და შემდეგ — მეორე.

როდიონ ქორქია

ᲧᲐᲜᲩᲐ

ᲧᲐᲜᲩᲐᲡ უყვარს თევზი. ჩადგება წყალში, აიკეცავს ცალფეხს და უთვალთვალებს თევზს.

— რატომ არის, რომ ყანჩა ცალ ფეხზე დგას და ისე ნადირობს? — ჰკითხა სიკომ მამას.

— იმიტომ, შვილო, ორივე ფეხი თუ აიკეცა, წყალში ჩავარდება, — გაეხუმრა მამა.

თამარ ჩხაიძე

ᲜᲘᲜᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲪᲣᲒᲐ

ᲜᲘᲜᲘᲙᲝ ეზოში გამოცქრიალდა. ხელში პური ეჭირა. ხტუნვა-ხტუნვით და კუდის ქნევით ცუგო გამოეგება.

— ცუგო, ცუგო, ყველი და პური გინდა?!

— ჰამ, ჰამ!

შესანსლა ცუგომ ყველი და პური თუ არა, ნინიკოს დედაც მოვიდა.

— ნინიკო, ყველი და პური შეჰამე?

— ჰო!

გოგონების თანხლებით.
დღეს პირველად გიჭირავს
რვეული და წიგნები...
გაიზრდები, გულიკო,
კარგი ქალი იქნები!

ილია სიხარულიძე

ცეკვა

აგერ ვაკე მინდორია,
ხეები დგას ირგვლივ ჯარად;
წრე შეუკრავთ პაწაწინებს,
წრეში მწკრივად ჩამომდგარან;
ისმის ტაში, მწყობრი ტაში,
ტრიალებენ, როგორც ჯარა;
დოლი მღერის: „ვათამაშებ
ამ პატარას,
იმ პატარას,
იმ პატარას,
ამ პატარას!“...
გამოუხტა ოთარიკო
და „ქართული“ დაუარა;
ფეხებს ისე ათამაშებს,
ბალახს არც კი დააკარა!
მზეხათუნა მასთან ცეკვავს,
გადაიქცნენ ნიავქარად,
დოლი მღერის: „ვათამაშებ
ამ პატარას,
იმ პატარას,
იმ პატარას,
ამ პატარას!“

ნინო ნაკაშიძე

ეშმა ბაასარა

ერთ საღამოს მამა სამუშაოდან დაღლილი დაბრუნდა. ოთარიკო მოუთმენლად ელოდა მის მოსვლას და კიბეზე მიეგება, შეხედა თუ არა, მაშინვე ჰკითხა:

— რა იყო, მამა, ავად ხარ?

— დავიღალე. შვილო, ბევრი ვიმუშავე. მეორე დღეს დილით, როდესაც მამა ადგა, ადგა ოთარიკოც.

— რა ამბავია, შვილო, ასე ადრე რად ადექი? — ჰკითხა დედამ.

— მამას უნდა წავყვე სამუშაოდ, მივეხმარები და აღარ დაიღლება, — უპასუხა ოთარიკომ და ქუდი დაიხურა.

მამას გაეცინა, ბიჭუნა ხელში აიყვანა, აკოცა და უთხრა:

—ყოჩაღ, ბიჭო, ისე გამახარე, რომ აწი აღარ დავიღლებიო!

ანა ხახუტაშვილი

მგზავრები

მზიას და ბიძინას დედამ კანფეტები მისცა. მზიამ ისინი წინსაფრის ჯიბეში ჩაიწყო. ბიძინამ თვალი რომ შეასწრო, მზია გარეთ გამოიპატიჟა.

— აი, მზია, შეხედე, ვაშლების ყუთი ნამდვილ მატარებელს არა ჰგავს?! მოდი, ჩავსხდეთ, ვითომ მატარებელია და დიდედასთან წავიდეთ.

მზიას მოეწონა ძმის აზრი, კაბის კალთები შეისწორა და შიგ მოიკალათა. ბიძინამ მზიას ხასიათი კარგად იცოდა: საწოლზე ან სკამზე გოგონა ოდნავ რომ დაგერწიათ, იმწამსვე თვალებს დახუჭავდა და ჩაეძინებოდა. მამის ჩალის ქუდიც თავზე ჩამოაფხატა, ვითომ სამგზავროდ გამოაწყო.

— იჰ, როგორ გიხდება, დედაც კი ვერ გიცნობს, — ტაში შემოჰკრა ბიძინამ და მზიას გვერდით მიუჯდა. — აბა, მზია, ფრთხილად იყავი. მატარებელი ახლა მალე ხიდზე გავა და ძალიან შეტორტმანდება. კუ-კუკუ!.. — დაიყვირა ბიძინამ და ყუთი ღონივრად შეატოკა. მზიას ეამა რწევა, ჯერ გაინაბა, მერე თვალები წალულა და ძილიც მოერია. ბიძინამ იდროვა და ხელი მზიას ჯიბისაკენ გააპარა.

— ქურდობისათვის, იცი, რა დღეს დაგაყრი?! — უცებ მოესმა ბიძინას მეზობლის ხმა და ხელი უკანვე ცივად წაიღო. ეგონა, განზრახვას მიუხვდნენ; ნამდვილად კი მეზობელი ძაღლს უჯავრდებოდა, ბიძინა ყუთიდან ამოვიდა. დედასთან გაიქცა და აღელვებით უთხრა:

— დედიკო, მზიას ჩაეძინა, ჩქარა, წამოიყვანე, კანფეტები არავინ მოპაროსო!

ქალხური ზღაპარი

ნათლია მელია

მრთი ცბიერი მელა გარბოდა და გაჰკიოდა:

— არიქა, ქვეყნიერება იქცევა!

შემოხვდა დათვი და თან გაიყოლია. მალე მათ მშიერი მგელი შემოეყარათ.

სად მიეშურებით? — იკითხა მან.

— ცა და ქვეყანა იქცევა და იქნება დავიმალოთო!

— მიამხანაგეთო!

წაიყოლიეს მგელიც. შემოეფეთათ ირემი. იმასაც ეგრე უთხრეს და ისიც თან წაიყოლიეს. გზადაგზა აედევნათ ჯიხვი, არჩვი, ჯეირანი და კურდღელი. წინ მელია მიუძღვებოდა მათ, ვითომც დიდი მზრუნველი და ამხანაგების გადამრჩენი ყოფილიყო.

შეიხიზნენ ერთ გამოქვაბულ კლდეში და დაიწყეს ერთად ცხოვრება უბედურების მოლოდინში.

— მოდი, ერთი სოფლობა ვქნათ, — მიმართა მელამ ამხანაგებს — მე ბატონი, დათვი ბატონი, მგელი ბატონი, იხვი ბატონი, არჩვი ბატონი, კურდღელი რას გვიკეთებს, ერთი ვიკითხოთ! — ეძგერნენ და ლუკმა-ლუკმა გაინაწილეს. ჭონი ქვევრში შეინახეს. მეორე დილას მეთაური მელა კიდევ ბჭობს:

— მე ბატონი, დათვი ბატონი, მგელი ბატონი, არჩვი ბატონი, ჯეირანი რას გვიკეთებს, ერთი ვიკითხოთ! — ეძგერნენ და ლუკმა-ლუკმა შესანსლეს საცოდავი ჯეირანი. ჭონი ქვევრში შეინახეს. მიჰყვნენ ასე ამნაირად და დარჩა მარტო დათვი და მელა. ქვევრში ბევრი ჭონი დაუგროვდათ. მოშივდა მელას. რა ქნას ახლა? შეინავარდა მახლობელ გორაზე, ვერაფერი იშოვა და შინ დაბრუნდა.

— ამ გორის იქით ნათლობაში დამპატიჟეს და რა ვქნაო? — მიმართა დათვს.

— წადი, ოღონდ ცოტა რამ მეც მარგე, ცოდვა ვარ, სასუსნავი წამომიღეო!

წავიდა მელა, გაეცალა დათვს, ჩუმად ქვევრი მოხადა და ჭონის ზედა ნაწილი შეჭამა. დაბრუნებისას დათვი შეეკითხა:

— რა დაარქვი ნათლულსაო?

— თავმოჭხოჭვილა! საჭმელი ვერა წამოგიღე რა, მალე გაათავესო!

მეორე დღესაც ასევე მოიქცა ეშმაკი მელა, ვითომ სხვა ბავშვის მოსანათლად წავიდა. ჭონი შუაგულამდის დაიყვანა. რომ დაბრუნდა, დათვი შეეკითხა:

— რა დაარქვი მეორე ნათლულსაო?

— შუაგულაო!

მესამე დღესაც ისევ ქვევრისაკენ გაცუნცულდა მელა, დათვს კი უთხრა: — ნათლობაში მიწვევენო! — ბოლომდის დაიყვანა ჭონი ამ უკანასკნელად, ქვევრს ძირი ბეჭითად ამოუწმინდა. რომ დაბრუნდა, დათვმა ჰკითხა:

— რა დაარქვი მესამე ნათლულსაო?

— ბოლომოწმენდილაო!

ამის შემდეგ ჩავარდა საგონებელში მშიერი მელა, გათავდა ყველაფერი. რა ხერხი მოიგონოს? ცარიელი კუჭი რიღათი ამოივსოს? საწყალი დათვი ძლივს დაბაჯბაჯებდა, ისე შიოდა, სიკვდილის პირზე იყო მისული.

— მართლა, ჩვენ რომ ქვევრში ჭონი შევინახეთ, რად არ მივაკითხავთ? — წარმოთქვა გაიძვერა მელამ, თითქოს ახლა გაახსენდა. მივიდნენ ქვევრთან. მელამ მოხადა ქვევრი დიდი მზრუნველობით და ფაციფუცით.

— დააჭყიტე თვალები, დათუნა, შეხე, რა სიმდიდრე გვაქვს! — დააჭყიტა თვალი გულუბრყვილო დათვმა. თურმე და მელას ნაცრით გაუვსია ქვევრი, შეუბერა სული ნაცარს და ისეთი კორიანტელი დადგა, დათვს თვალები ნაცრით გაევსო და დაბრმავდა...

ბოლოს ერთ მაღალ კლდეზე მიიტყუა მელამ იგი, და საბრალო ბრმა დათვი გადაიჩეხა ხევ-ხუვებში! ჩაცუნცულდა მერე ხევში მსუნაგი მელა, მიცუცქდა და ხარბად გაჰკრა კბილი მწარედ მოტყუებულ დათვს.



მეგობრობა, თანამშრომლობა

რუსთავი. რუსთავის მშრომელები დიდ ინტერესს იჩენენ მოძმე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ცხოვრებისადმი. ეს გასაგებიცაა! რუსთავში ხომ **საწარმოო პრაქტიკას გადიოდა ჩეხოსლოვაკიელ ჭაბუკთა დიდი ჯგუფი,** რომლებიც ახლა ნაყოფიერად შრომობენ კუნჩიცის მეტალურგიულ ქარხანაში. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფურცელსაგლინავი დგანის მვალცავთა ბრიგადა, რომელსაც **ნოდარ კურატაშვილი** ხელმძღვანელობს, ეჯიბრებოდა კუნჩიცის ქარხნის იოზიფ ვილკის ბრიგადას. **რუსთაველი მეტალურგებიც იყვნენ ჩეხოსლოვაკიაში, სადაც გადასცეს გამოცდილება „400“ მილსაგლინავი დგანის კომპლექსური მექანიზაციისა, რაც ევროპაში პირველად რუსთავის ქარხანამ განახორციელა.**

მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებს რუსთავის № 5 საშუალო სკოლის დირექტორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს **ლეილა ლორთქიფანიძეს** პრაღის სამედიცინო ინსტიტუტის პედაგოგ კამილა კნოტკოვასთან. ეს მეგობრობა წარმოიშვა ჩეხოსლოვაკიაში ლ. ლორთქიფანიძის ტურისტად ყოფნის დროს.

ქალაქ ბრნოდან პურკინეს სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრის ეკვრ დოცენტ ზდენეკ კონეჩნის, რომელსაც აინტერესებს კავკასიის ხალხთა ისტორია და თანამედროვე ცხოვრება, მიმოწერა აქვს წარჩინებულ ქართველ მებრძმედესთან, — სოციალისტური შრომის გმირთან არჩილ ძამაშვილთან.

◆

საჩუქრად...

თეთრიწყარო. სოფელ ჩხიკვთის რვაწლიანი სკოლის პიონერ-მოსწავლეები ერთსულოვნად ჩაებნენ წამოწყებაში — „საბჭოთა კავშირის პიონერები — ვიეტნამს“. ცალკეულმა პიონერულმა რაზმებმა ვიეტნამელ ბავშვებს მოუმზადეს მოსწავლის ჩანთები, სადაც ჩაალაგეს სასკოლო ნივთები, წითელი უელსახვევები. საჩუქრები ვიეტნამელ ბავშვებს მოუმზადეს აგრეთვე რაიონის სხვა სკოლების პიონერებმაც.

ამ დღეებში საჩუქრები გაიგზავნა ვიეტნამში.

ნორჩების მეგობარი

ნელი ოქროპირიძე. იგი ნიჭიერი მოქანდაკე და მხიარული საბავშვო მოთხრობების და ნახატების ავტორია.

მხატვრის შემოქმედებითმა ფანტაზიამ გამოყენებითი ხელოვნების თავისებური ჟანრი შექმნა. რკოების, კაკლის, ნაძვის გირჩების, ხავსისა და ხის ქერქისაგან იგი ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებს, ორიგინალურ მინიატურებს ქმნის.

მაგრამ არა მარტო ამითია ცნობილი ნელი ოქროპირიძე. მისი შემოქმედებითი ფანტაზიით შექმნილია შესანიშნავი კერამიკული ნაწარმი, უამრავი მხატვრული აპლიკაციები საბავშვო ზღაპრების თემებზე.

სურათებზე: ბავშვებთან გულითადი საუბრის დროს იქმნება ახალი მინიატურების, მხატვრული აპლიკაციების, მხიარული მოთხრობების თემები; ნელი ოქროპირიძე და მისი ქალიშვილი თამარი აგროვებენ მასალას მომავალი მინიატურებისათვის; ნელი ოქროპირიძის ახალი ნამუშევრები.















ბედმა სად არ მაჯარა

(დასასრული).

ამჟამად რესტორნის უფროსი ადმინისტრატორი ვარ, მაქვს ძლიერ კარგი ხელფასი და 20 პროცენტი დამატებით უცხო ენების ცოდნაშიც მეძლევა. ძლიერ კმაყოფილი ვარ დაბრუნებით. ძალიან ვნანობ, რატომ ცოტა ადრე არ მოავლინა ღმერთმა სუხიშვილების გუნდი არგენტინაში. თუმცა თავს ვინუგეშებ ანდაზით, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს და არ ვნანობ, რადგან მხოლოდ ახლა ვარ ბედნიერი და ვამაყობ, რომ ვერავინ მეტყვის: „არ მოგწონს? წაეთრიე შენს ქვეყანაში, ბინძურო უცხოელო!“

დავბრუნდი თბილისში... აღტაცებით ვათვალიერებდი ქალაქს და ბავშვივით სიხარულის ცრემლები მცვიოდა. მტკვრის ორივე მხარეს სანაპირო გაუყვანიათ. ის იწყება სადღაც შორს, დიღმის ბორნიდან. დღეს ამ ადგილებს ვეღარ იცნობ. 8-სართულიანი სახლების ქალაქია აშენებული და უშველებელი ქვის ხიდი აერთიანებს დიდუბეს და დიღმის მინდვრებს.

მტკვრის მარჯვენა მხარეს სანაპირო ორთაჭალამდე მიდის, მარცხენა მხარეკი მეტეხის ხიდთან თავდება, რადგან აქ სალი კლდეა. მალე აქ გვირაბს გაიყვანენ, რომელიც ასევე ორთაჭალამდე მიაღწევს. როგორც გავიგე, ეს გვირაბი 2,5 კილომეტრი სიგრძისა იქნება და ისეა დაგეგმილი, რომ ფეხით მოსეირნეებსაც ექნებათ საშუალება ზაფხულში ამ გრილ გვირაბში გაისეირნონ. ორთაჭალაში საგუბარია აშენებული — ზაფხულობით საგუბარს კეტავენ. მტკვარი მდორე ხდება და ახალგაზრდობა ნავებით დაცურავს. ამ საგუბრის ქვევით, სოლანლუღის ხიდამდე, ორივე ნაპირზე დაამთავრეს კედლების აშენება, ახლა მხოლოდ მიწით ამოვსება და მხატვრული გაფორმება აკლია.

წელს მტკვარი ერთ დღეს ძლიერ ადიდდა. მე ყოფილი მუხრანის ხიდის ახლოს ვცხოვრობ. (ახლა ის ხიდი აღარ არის, ააშენეს ორსართულიანი ხიდი და დაარქვეს ბარათაშვილის სახელი). პირველ სართულზე კაფე და სავაჭრო წერტია. ამ კაფეში შევედი, მოვითხოვე ყავა და ვუყურებ გიჟმაყი მტკვრის ვებერთელა ტალღებს. განა ამ პატარა მტკვარს თავის სილამაზე და ძლიერ დიდი ისტორია არა აქვს! წელს აქ უკვე მესამედ ვიზეიმე პირველი მაისი. 1966-67 წლებში პირველად საარტილერიო სკოლის კურსანტების დანახვაზე ცრემლი ვერ შევიკავე, წელს კი ალბათ შევიჩვიე და ცრემლი აღარ მოსვლია.

ბუენოს აირესში ზაფხულში ვიტანჯებოდი ხოლმე. აქ ჩვენი ზაფხულის მოახლოება მახარებს. მართალია, თბილისის სიცხეებიც შემაწუხებელია, მაგრამ მთის ნიავი ყოველთვის გულს გიგრილებს, და რაც მთავარია, ნატახტარის წყლის სმა ხომ ოცნებად მქონდა გადაქცეული ამ ორი წლის წინათ ბუენოს აირესში.

ზოტა თარხნიშვილი.

1968 წელი, ივნისი.

გამოფენა მოგვითხრობს

თბილისში გაიხსნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. მის ცხრა პავილიონში წარმოდგენილია 10 ათასამდე ექსპონატი, რომლებიც მოგვითხრობენ საქართველოში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის განვითარების შესახებ.

მთავარ პავილიონში მნახველები ნახავენ მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს „საქართველოს სს რესპუბლიკა დღეს“.

საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე განსაკუთრებით განვითარდა მანქანათმაშენებელი, ლითონდამამუშავებელი და ხელსაწყოთმაშენებელი მრეწველობა. 1958 წელთან შედარებით მისი მთლიანი პროდუქცია თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა. გამოფენის ექსპოზიციაშია „163“ მოდელის უნივერსალური სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი და დიდი სიზუსტის მრგვალსახეხი ჩარხი, ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხნის, 26 კომისრის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმაშენებელი ქარხნების, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, „გორიხელსაწყოს“, „სოხუმიხელსაწყოს“ და მრავალი სხვა საწარმოს პროდუქცია. აქ ნახავთ ჩაისსაკრეფ მანქანა „საქართველოს“, რომელსაც უმთავრეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა.

დიდი ნახტომი გააკეთა სამთამადნო, მეტალურგიულმა და ქიმიურმა მრეწველობამ. ჩვენში მუშაობენ ინდუსტრიის ისეთი გიგანტები, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და ქიმიური კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და სხვ.

გამოფენის მეორე პავილიონის დიაგრამები და ექსპონატები თვალნათლივ მოგვითხრობენ ჩვენი სოფლის მეურნეობის მიღწევებზე. ახლა საქართველო ჩვენი ქვეყნის მეჩაიეობის მთავარი ბაზაა, მევენახეობისა და მეღვინეობის, მეციტრუსეობის, მეთამბაქოეობის, მეფუტკრეობის რესპუბლიკაა. ამ ბოლო დროს ფართოდ განვითარდა ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება.

დიდი ძვრები მოხდა კვების, მსუბუქ, ადგილობრივ, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელ მრეწველობაში. ამას მოგვითხრობს მაკეტები, ფოტოები, ექსპონატები.

ახლა საქართველოს საწარმოები თავიანთ პროდუქციას უგზავნიან მსოფლიოს 65 ქვეყანას. კარგი სახელი მოიხვეჭეს ქართულმა ნავთობპროდუქტებმა, მანგანუმმა, ღვინომ, კონიაკმა, ჰიდრომეტეოროლოგიურმა ხელსაწყოებმა, მილებმა, ჩარხებმა, წყალქვეშა ფრთიანმა კატარღებმა და ბევრმა სხვა ნაწარმმა.

ქართველ მეცნიერთა ლაბორატორიებში

ჰიპოთეზა თუ...

- „დნკ“, მისი ყოფაქცევა და უცნაურობანი.
- მემკვიდრეობითობის გამოცანები.
- მეცნიერები არკვევენ „დნკ“ს მექანიზმებს.
- გ. თუმანიშვილის ჰიპოთეზა.
- განსაკუთრებული ნივთიერება ბირთვში.

უჯრედის ბირთვში მყოფი გენების ყოფაქცევის გაშიფვრა, რომლებიც განსაზღვრავენ მარტივი (ერთუჯრედიანი) და რთული ორგანიზმების მთელ არსებულ მრავალფეროვნებას, ნიშნავს ფარდა აეხადოთ მემკვიდრეობითობის საიდუმლოებას: გენეტიკოსთა, ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა გამოკვლევებმა დაადგინეს, რომ მემკვიდრეობითობა დაკავშირებულია განსაკუთრებულ მოლეკულასთან — დეზოქსირიბონუკლეინის მჟავასთან — „დნკ“-სთან. სწორედ „დნკ“-ში ჩაწერილია ინფორმაცია მცენარეული და ცხოველური სამყაროს წარმომადგენლობა აღნაგობისა და თვისებების შესახებ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში ინტენსიურად სწავლობენ მემკვიდრეობითობის გამოცანებს. მეცნიერებმა ბევრი რამ გააკეთეს „დნკ“-ს მუშაობის მექანიზმების გამოსარკვევად. მათმა ექსპერიმენტებმა შეცვალეს არსებული წარმოდგენა ამ მჟავას ყოფაქცევის შესახებ.

დღემდე ფიქრობდნენ, რომ მემკვიდრეობითი ნივთიერება მყარი სტრუქტურაა და ინერგება უჯრედთან ერთად. დანარჩენ შემთხვევებში არის მხოლოდ „დნკ“-ს სინთეზი.

მეცნიერი თანამშრომლების ნაირა სალამატინას, ლალი ვეფხვაძისა და ქეთევან ჯანდიერის ცდებმა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის გ. თუმანიშვილის ხელმძღვანელობით ცხადყო, რომ სინამდვილეში „დნკ“-ს მოქმედება სხვანაირად მიმდინარეობს.

ორგანიზმის ყოველ ქსოვილს, გამოარკვიეს ქართველმა მეცნიერებმა, აქვს „დნკ“-ს დამახასიათებელი კონცენტრაცია. სწორედ მასზეა დამოკიდებული გარკვეული ქსოვილის უჯრედების ფორმა და ფუნქციები. ამასთან „დნკ“-ს კონცენტრაცია მოცემული ორგანოსათვის მუდმივია და მაშინაც კი არ იცვლება, როცა ქსოვილი ზიანდება. ამრიგად დამტკიცდა, რომ ამ მჟავას რაოდენობა ყოველ ცალკეულ უჯრედში (ბირთვში) უფრო ცვალებადია, ვიდრე წინათ ფიქრობდნენ.

მაგრამ ქსოვილის რეგენერაციის (მთლიანობის აღდგენის) და უჯრედების ჩვეულებრივი დაყოფის დროს ავტომატურად იზრდება ბირთვების რაოდენობა, რამაც შეიძლება შეცვალოს ორგანოს „დნკ“-ს კონცენტრაცია. ეს კი გამოიწვევს სერიოზულ შედეგებს ორგანიზმისათვის — ქსოვილის გადაგვარებას, მის მიერ თავის „მოვალეობათა“ დარღვევას. სინამდვილეში კი ორგანო კვლავ ნორმალურად მოქმედებს.

რით აიხსნება ეს ფაქტი? ბიოფიზიკოსები ვარაუდობენ, რომ უჯრედის ბირთვები გამოყოფენ განსაკუთრებულ შენაერთს, რომელიც ამუხრუჭებს მეზობელი უჯრედების „დნკ“-ს სინთეზს. ეს ხელს უშლის პროცესებს, რომლებიც იწვევენ მემკვიდრეობითი ნივთიერების ზრდას.

ჰიპოთეზა შეამოწმეს ორიგინალური ცდით. მეცნიერებმა ქათმის ჩანასახში შეიყვანეს მოზრდილი ქათმის ღვიძლის ბირთვების ექსტრაქტი. შედეგი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. „დნკ“-ს რაოდენობა ღვიძლის უჯრედებში თითქმის 70 პროცენტით შემცირდა.

ექსპერიმენტატორებმა სხვადასხვა მეთოდით გამოიკვლიეს ეს მოვლენა და დაადგინეს, რომ ექსტრაქტში არის განსაკუთრებული ნივთიერება, რომელიც არა მარტო ჩაგრავს „დნკ“-ს შექმნას უჯრედებში, არამედ ხელიც ანგრევს მას. საგულისხმოა, რომ ეს ნივთიერება ცნობს მხოლოდ თავის უჯრედებს და მოქმედებს მხოლოდ მათზე.

ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში წარმოებულ ორიგინალურ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობითობის მექანიზმების გამოსარკვევად. **იგი წარედგინება ემბრიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესს პარიზში მიმდინარე წლის სექტემბერში, როგორც ქართველ ბიოფიზიკოსთა მიღწევა.**

[-10]

№ 8/64

დაგეძებენ, მოგელიან

გერონტი გიორგის-ძე ხეცურიანს, დაბადებულს 1913 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ლასურიაში, ეძებენ მეუღლე — ალექსანდრა (საშა) პავლეს ასული, შვილები — ლულუ, ზიგა, ნაილი ხეცურიანები.


შალვა სამსონის-ძე გელანტიას, დაბადებულს 1916 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმში, ეძებენ ძმები — თომა და დოვე სამსონის-ძე გელანტიები.

არსენ (სამსონ) ვასილის-ძე ხუგაშვილს (ხუგაევს), დაბადებულს 1921 წელს თელავის რაიონის სოფელ ქვემო ხალაწანში, ეძებს და — მანია ვასილის ასული ცხოვრებოვა.

* * *

სურათებზე: ზემოდან ქვემოთ — შალვა გელანტია, არსენ ხუგაშვილი.





შეხვედრა სეტყვაზე

ქართველი მეცნიერები ეხმარებიან ბულგარეთსა და იუგოსლავიას

ქართველ გეოფიზიკოსთა გამოცდილება სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდისა და საშუალებების შემუშავებასა და დანერგვაში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს მაგალითისამებრ უკვე შექმნილია სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურები უკრაინაში, ყირიმში, მოლდავეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ახლა ბუნების ქართველ გარდამქმნელთა კვლევის შედეგებმა საგზური მიიღეს ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ. ქართველ მეცნიერთა ჯგუფს დაევალა მეცნიერულ-ტექნიკური დახმარება გაუწიოს ბულგარელ სპეციალისტებს სტიქიური უბედურებისაგან 400 ათასამდე ჰექტარი ვენახების, ბაღების, თამბაქოსა და ბრინჯის პლანტაციების დაცვაში. ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებმა იკისრეს დაეხმარონ იუგოსლავ გეოფიზიკოსებსა და მეტეოროლოგებს სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის შექმნაში. კლიმატზე ზემოქმედების დარგში ქართველ მეცნიერთა ნაშრომებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ აგრეთვე ავსტრიაში, არგენტინასა და გრაზილიაში.

ბულგარეთში ყოველწლიური ზარალი სეტყვისაგან აღწევს ას მილიონ ლევს. მოძმე რესპუბლიკაში ნამყოფმა ქართველმა მეცნიერებმა უკვე შეადგინეს სეტყვის ღრუბლებთან ბრძოლის პროექტი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პლოვდივისა და პაზარჯიკის რაიონებისათვის. ამ მიზნით იქმნება საცდელი პოლიგონი, რომელზეც უკვე წელს დაამონტაჟებენ პირველ რადიოსალოკაციო და მრავალლულიან სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარს.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათაშენებელ ქარხანაში უკვე დამზადდა ბულგარელი მეგობრებისათვის ორი დანადგარი იმ 25 დანადგარიდან, რომლებმაც სეტყვის ღრუბლებში უნდა შეიტანონ დამშლელი ქიმიური რეაქტივები. ქიმიურ ნივთიერებათა უმცირესი ნაწილაკები შეჰყავთ ღრუბლის იმ ნაწილში, სადაც იქმნება და იზრდება სეტყვის მარცვლები, რაც იწვევს ღრუბლის ზედმეტად გაცივებული წვეთების ხელოვნურ კრისტალიზაციას. ამასთან დაკავშირებით ღრუბელში არსებული წყალი ნაწილდება არა მარტო ბუნებრივად შექმნილ სეტყვაზე, არამედ ხელოვნურად შექმნილ ყინულის ნაწილაკებზეც. ეს მნიშვნელოვნად აფერხებს სეტყვის ზრდას და ამცირებს მის ზომას.

ბულგარეთში, ისე როგორც საქართველოში, ღრუბლებს „დაუშენენ" „ალაზნის" ტიპის რაკეტებს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ შექმნეს ქართველმა მეცნიერებმა და რომელიც უფრო შორს ისვრის და უფრო ეფექტიანია, ვიდრე მისი წინამორბედნი. იგი სეტყვის კერებზე მოქმედებს დაახლოებით 10-11 კილომეტრზე. ამასთან „ღრუბლებზე მონადირეები" აღჭურვილი იქნებიან რადიოლოკაციის, სინოპტიკის, სიგნალიზაციის. კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებით, რაც მათ ბრძოლას უფრო ქმედითს ხდის.

ჩვენს რესპუბლიკაში უკვე ახლა იცავენ სეტყვისაგან 450 ათასამდე ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. ქართველმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს სეტყვასთან ბრძოლის ფიზიკური საფუძვლები და ბრძოლის მეთოდი და სახელმწიფო მასშტაბით შეუტიეს ამ სტიქიურ მოვლენას. ქართველმა სპეციალისტებმა ჩვენში, სადაც ვაზი შეადგენს ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, შედარებით დიდ ეფექტიანობას მიაღწიეს სეტყვის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში. ისინი სეტყვის საფრთხეს ამცირებენ დაახლოებით 70 პროცენტით და სახელმწიფოს წელიწადში უზოგავენ 7-10 მილიონ მანეთს.

სეტყვასთან ბრძოლის მეთოდისა და საშუალებების შემუშავებისა და დანერგვისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ღრუბლის ფიზიკისა და ზემოქმედების განყოფილების გამგე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის უფროსი ა. ჭარცივაძე, აგრეთვე ქართველი სპეციალისტი ნ. ბიბილაშვილი, ჩრდილოეთ კავკასიაში მომუშავე გ. სულაქველიძე, მოლდაველი სპეციალისტი ი. გაივორონსკი წარდგენილი არიან სსრ კავშირის 1968 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.

სეტყვასთან ბრძოლის მეთოდებისა და საშუალებების დამუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ა. ბუხნიკაშვილი, ალაზნის სეტყვის საწინააღმდეგო ექსპედიციის უფროსი ა. ორჯონიკიძე და ჰიდრომეტეოსამსახურის მთავარი სამმართველოს მუშაკები ბ. კიზირია და ი. სერიოგინი.

შინმოუსვლელთა საჭიდებლად



სურათზე: დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკი წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფშკვითში.

ავტოსადგომი მიწისქვეშ

მიწისქვეშა ავტოსადგომის ორიგინალური პროექტი შეიმუშავეს საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის არქიტექტორებმა დ. ჩოფიკაშვილმა, ს. რევიშვილმა, ა. საბაშვილმა, ო. პაგრატიონმა და გ. ხიზანიშვილმა. ოთხსართულიანი ავტოსადგომი აიგება ასაწყობი რკინაბეტონის ელემენტებისაგან. ქუჩიდან 50 მეტრი სიგრძის მიწისქვეშა გადასასვლელით მანქანა ერთბაშად მოხვდება სადგომის მესამე სართულზე, საიდანაც შეუძლია პანდუსებით მივიდეს ყოველ სართულზე. ავტომობილის კაბინეტი მოწყობილია ისე, რომ მძღოლს შეუძლია შეუფერხებლად გამოიყვანოს მანქანა და ხელი არ შეუშალოს სხვებს. ავტოსადგურის შენდება ვაკეში. შენობაში გათვალისწინებულია კონდიცირებული ჰაერი.

სადგომის ზედა სახურავზე გაშენდება ყვავილნარი, აქვე აიგება მიწისა და ბეტონის თანამედროვე შენობა, სადაც მოთავსდება 400-ადგილიანი სასადილო და 500-ადგილიანი კლუბი.

უნიკალური ავტოსადგომის მშენებლობა გაჩაღებულია.

— მშენებელთა წინაშე ძნელი ამოცანა დგას, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს „თბილმრეწვმშენის" ტრესტის მე-2 სამშენებლო სამმართველოს უფროსმა სამუშაოთა მწარმოებელმა გიორგი გაგნიძემ. — უნდა ამოვიღოთ დაახლოებით 20 ათასი კუბური მეტრი გრუნტი და მიწა. პარალელურად დავიწყეთ მიწისქვეშა გადასასვლელის აგება.

გამოსაჩინეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,88 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25.